



## Administration of Justice in Medical Disputes Including a Competition of Legal Basis Analysis of the Decisions of the Supreme Court of Georgia

Ilari kharanuli <sup>1</sup>  
PhD student, Caucasus University

### ABSTRACT

---

As usually, medical services are provided on the basis of a contractual relationship (Kharanuli, 2023). If the medical service provider harms the patient's health which is in a contractual relationship with him/her simultaneously violates both the contractual obligation to fulfill agreed upon terms and the tortious obligation not to harm a person's health.

Thus, the liability of the medical service provider who is in a contractual relationship with the patient can be regulated by both contractual and tort terms. This means that in the disputes related to damage caused by medical services there is a competition of legal basis (kharanuli, 2023).

Scientists have not yet reached a consensus whether contractual or tort law must be used in medical disputes or based on what criteria abovementioned competition of legal basis can be separated (Kharanuli, 2023).

Courts of Georgia usually use tortious norm - Article 1007 of Civil Code in medical disputes even when there is a contractual relationship between the parties.

There is analysed several decisions of the Supreme Court of Georgia within the presented article in order to be determined how is justified the decisions which regulate the liability of medical service provider who is in a contractual relationship with damaged person.

The results of the research can be useful to establish a uniform, stable and justified approaches in medical disputes including a competition of legal basis. In addition, the parties to dispute will be able to define the perspectives of the dispute correctly and prepare for the trial.

---

**Keywords:** *Medical disputes, Competition of legal basis, Contractual liability, Tortious liability.*

---

<sup>1</sup> ino\_csl@yahoo.com

**მართლმსაჯულების განხორციელება  
სამედიცინო დავებში  
მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციისას  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი**

ილნარი ხარანაული  
დოქტორანტი, კავკასიის უნივერსიტეტი

## **ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი**

---

სამედიცინო მომსახურების გამწევი პაციენტს სამედიცინო მომსახურებას უწევს ძირითადად სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე.

თუ სამედიცინო მომსახურების გამწევი არაჯეროვანი სამედიცინო მომსახურების შედეგად ზიანს აყენებს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პაციენტის ჯანმრთელობას, ის ერთდროულად არღვევს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას ჯეროვანი შესრულების შესახებ, ასევე დელიქტური ნორმებით განსაზღვრულ ვალდებულებას - არ მიაყენოს ზიანი პირის ჯანმრთელობას.

შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების გამწევის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები, თუკი ის პაციენტთან იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში, შეიძლება რეგულირებული იყოს ერთის მხრივ, სახელშეკრულებო ნორმებით და მეორეს მხრივ, დელიქტური ნორმებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ მსგავს დავებში სახეზეა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია (ხარანაული, 2023)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად გამოყენებული უნდა იქნას სახელშეკრულებო თუ დელიქტური ნორმები, ან რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს აღნიშნული მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნა.

რაც შეეხება სასამართლოს, რომლის კომპეტენციაც არის გამოსაყენებელი სამართლის ნორმის შერჩევა, ზემოაღნიშნულ დავათა მოწესრიგებისას ძირითადად ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლს, მაშინაც კი როცა მხარეთა შორის დადებულია ხელშეკრულება.

სწორედ სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, წარმოდგენილი სტატიის ფარგლებში გამოკვლეულია უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებშიც განსხვავებული მიდგომებია ჩამოყალიბებული,

პაციენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სამედიცინო მომსახურების გამწევის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას.

კვლევის შედეგად გამოვლენილია გარემოებები, რომელთა გათვალისწინებასაც შეუძლია ხელი შეუწყოს სამედიცინო დავებში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი, სტაბილური და დასაბუთებული მიდგომის ჩამოყალიბებას, რასაც შეუძლია საბოლოოდ დაასრულოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დისკუსიები; ამასთან, დავის შედეგებით დაინტერესებულ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა სწორად განსაზღვრონ დავის შესაძლო პერსპექტივები და სათანადოდ მოემზადონ საქმის განხილვისა და მტკიცების ტვირთის დასაძლევად.

---

*საკვანძო სიტყვები: სამედიცინო დავა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, დელიქტური პასუხისმგებლობა.*

## 1. შესავალი

სამედიცინო მომსახურების გამწევის ძირითადი ვალდებულებაა პაციენტს გაუწიოს ჯეროვანი სამედიცინო მომსახურება, ხოლო თუ ამ უკანასკნელის ჯანმრთელობას სამედიცინო მომსახურების შედეგად ზიანი ადგება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესებს შესაბამის პასუხისმგებლობას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი სამედიცინო მომსახურების შედეგად მიყენებულ ზიანს აწესრიგებს დელიქტური ნორმით და 1007-ე მუხლში განსაზღვრავს, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვა) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით (ხარანაული, 2023).

იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო მომსახურება ძირითად შემთხვევებში სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ხორციელდება, მისი, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან „არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული დავები შეიძლება ასევე მოწესრიგდეს სახელშეკრულებო ნორმათა საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (ხარანაული, 2023).

აღნიშნული ნათლად წარმოაჩენს, რომ საკითხი შეიძლება რეგულირებული იყოს ერთი მხრივ, სახელშეკრულებო და მეორეს მხრივ, დელიქტური ნორმებით. სახელშეკრულებო და

დელიქტური ვალდებულებები ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ ურთიერთკავშირშია, რომ რთულდება მოთხოვნის საფუძვლის სწორად შერჩევა. უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთ შემთხვევად განიხილება სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ამდენად, სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავებში ხშირად სახეზეა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ერთდროულად ან ცალ-ცალკე. (ჩაჩავა, 2010, გვ. 23)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი; ერთმნიშვნელოვნად არ არის ჩამოყალიბებული პოზიცია სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავათა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას სახელშეკრულებო ვალდებულებათა მომწესრიგებელი თუ დელიქტური ნორმები ან რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს აღნიშნულ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნა (ხარანაული, 2023); მაგალითად, არსებობს მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს სარჩელთა კონკურენციას და მიჩნეულია, რომ თუ ზიანი ადგება პირის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს სამედიცინო დაწესებულებაში, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დარეგულირდეს 1007-ე მუხლის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო მომსახურება გაწეულ იქნა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. (სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი თ., 2011, გვ. 70-71)

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ მიდგომასაც - სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისას, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის დასადგენად გადამწყვეტია ხელშეკრულების პირობები და დაბნეულობა არ უნდა გამოიწვიოს მითითებამ დელიქტურ ნორმებზე. (თოდუა და ვილემსი, 2006, გვ. 84) კიდევ ერთი განსხვავებული მოსაზრების თანახმად კი სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმათა კონკურენციის გადაწყვეტა უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით, (დუნდუა, 2009, გვ. 59) ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დომინანტი მოსაზრების თანახმად თუ სახეზეა სახელშეკრულებო და დელიქტურ ვალდებულებათა კონკურენცია, ზიანის ანაზღაურების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რის საფუძველზე წარმოიშვა ზიანი - სახელშეკრულებო პირობათა დარღვევის თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით პირის აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის საფუძველზე. (კვანტალიანი, 2014, გვ. 54)

რაც შეეხება სასამართლოს, რომლის კომპეტენციაც არის ზემოაღნიშნულ შემთხვევაში უპირატესად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის შერჩევა, სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავათა მოწესრიგებისას ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლს და არ იყენებს სახელშეკრულებო ურთიერთობათა მომწესრიგებელ ნორმებს, მაშინაც კი როცა მხარეთა შორის დადებულია ხელშეკრულება;

სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით სტატიაში გამოკვლეულია საქართველოს საერთო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელშიც განხილულია სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძვლების კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს ის, რომ ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი იმასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების შედეგად პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება არის სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ვალდებულება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა სწორად გამიჯვნას და გამოსაყენებელი ნორმის შერჩევის დასაბუთებას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სასამართლოს ერთგვაროვანი და სტაბილური პრაქტიკის დასადგენად, ასევე გადაწყვეტილებათა დასაბუთებლად. გარდა ამისა, იმის გამო რომ კონკურირებადი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები შესაძლოა განსხვავებულად არეგულირებდეს მხარეთა უფლება-მოვალეობებს (მაგალითად, საკითხებს დაკავშირებულს ხანდაზმულობასთან, მტკიცების ტვირთის განაწილებასთან და ა.შ.) უპირატესად გამოსაყენებელი ნორმის შერჩევას ან/და კონკურირებად ნორმათა გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენას შესაძლოა ჰქონდეს კიდევ უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებათა გამო შესაძლოა იცვლებოდეს პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობა დავის მიმდინარეობისა და მისი შედეგების თვალსაზრისით.

სტატიის მიზანი არ არის განსაზღვროს სამედიცინო დავებში მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას რომელი მოთხოვნის საფუძველს უნდა მიენიჭოს უპირატესობა; აღნიშნული ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. სტატიის ამოცანაა გამოკვლეულ იქნას თუ როგორია საქართველოს საერთო სასამართლოების მიდგომები სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებში მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძვლების კონკურენციის გადაწყვეტისას - აღნიშნულ დავებში გამოყენებული უნდა იყოს სახელშეკრულებო თუ დელიქტური ნორმები და აღნიშნულის შესაბამისად იცვლება თუ არა ან/და როგორ იცვლება მოსარჩელის/დაზარალებულის მდგომარეობა დავის შედეგების თვალსაზრისით, ასევე რამდენად დასაბუთებულია სასამართლოთა აღნიშნული გადაწყვეტილებები.



კვლევის შედეგად დადგენილმა გარემოებებმა შესაძლოა შეცვალოს შეხედულებები სამედიცინო დავებში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციასთან დაკავშირებით, რაც სხვაგვარ სამართლებრივ რეალობას შექმნის და ხელს შეუწყობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი, სტაბილური და დასაბუთებული მიდგომის ჩამოყალიბებას.

სტატიის მომზადებისას გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის სამართლებრივი წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი - აღწერილი და გაანალიზებულია სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტი და სამეცნიერო ლიტერატურა; უპირატესად გამოკვლეულია საქართველოს საერთო სასამართლოთა ქვემოთ მითითებული რამდენიმე ფუნდამენტური გადაწყვეტილება განსახილველი საკითხის მიმართულებით. ამასთან, გამოყენებულია კვლევის დედუქციური და ინდუქციური მეთოდები - კვლევა წარმართულია როგორც ზოგადი საკითხებიდან კერძოსკენ, ასევე პირიქით.

## **2. ხელშეკრულების და დელიქტურ ნორმათა, როგორც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე კრედიტორს შეუძლია მოვალისგან შესრულება მოითხოვოს, თუ ამ უკანასკნელს აღნიშნული შესრულების ვალდებულება ეკისრება. ამგვარი ვალდებულების წარმოშობისათვის კი ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

მოთხოვნა არის უფლების რეალიზების ინსტრუმენტი, ხოლო ამ მოთხოვნის განხორციელების მექანიზმია მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი - სამართლის ნორმა, რომელიც მხარეს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს უფლებით გათვალისწინებული სიკეთე. ამგვარი სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ხელშეკრულება, დელიქტური სამართლის ნორმები, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შერჩევასას განსაზღვრულ უნდა იქნეს არის თუ არა სახეზე ყველა ის წინაპირობა, რომელსაც ეს მოთხოვნის საფუძველი ითვალისწინებს, თუმცა შესაძლოა მოთხოვნა ერთდროულად აკმაყოფილებდეს ვალდებულების წარმოშობის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლის წინაპირობებს. (ჩაჩავა, 2010, გვ. 21)

„ისევე, როგორც ვალდებულება შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო, მისი დარღვევით გამოწვეული ზიანიც შეიძლება მომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან ან კანონიდან“ (ძლიერიშვილი და სხვანი, 2014, გვ. 649); შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის/ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტური სამართლის ნორმები; თუმცა არსებობს შემთხვევები როდესაც პირს ზიანი ადგება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შედეგად და აღნიშნული ვალდებულების დარღვევა პარალელურად არის დელიქტური ნორმის რეგულირების სფერო;

ამგვარი კონკურენციის შემთხვევაში კი არსებითია გადაწყდეს, ალტერნატიულ მოთხოვნის საფუძველთაგან რომელია უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება/არდაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. დოქტრინაში დავას არ იწვევს საკითხი იმის შესახებ რომ თუ ზიანი წარმოშობილია დელიქტური ვალდებულების დარღვევის შედეგად გამოყენებული უნდა იქნეს დელიქტური ნორმები, ხოლო თუ ზიანი დამდგარია სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შედეგად, მაშინ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად. (ახვლედიანი, 1999, გვ. 65) მაგრამ, სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმათა, როგორც მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნის და მათ შორის უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძვლის სწორად შერჩევის საკითხი აქტუალური და პრობლემური ხდება პრაქტიკაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ერთი მხარე სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევით მეორე მხარეს აყენებს ზიანს, რაც როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ქმნის როგორც დელიქტური, ასევე სახელშეკრულებო ნორმათა გამოყენების წინაპირობებს და ამ თვალსაზრისით აღნიშნული ნორმები შესაძლოა ერთმანეთთან კონკურირებდნენ;

თანამედროვე სამართალში განასხვავებენ მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავ, კუმულაციურ და ალტერნატიულ კონკურენციას. გამომრიცხავ კონკურენციად მიიჩნევა, როცა სამართლის ნორმები ერთმანეთს გამორიცხავენ მათი იერარქიის თუ სპეციალურობის მიხედვით; კუმულაციურ კონკურენციად კვალიფიცირდება შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა გაერთიანებით ან ურთიერთკავშირით, ხოლო ალტერნატიულ კონკურენციად მიიჩნევა, როდესაც მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის წინაპირობას აკმაყოფილებს, მაგრამ რომელიმე მათგანით მოთხოვნის რეგულირება გამორიცხავს სხვა მოთხოვნის საფუძველთა გამოყენების შესაძლებლობას. (ჩაჩავა, 2010, გვ. 26-27)

სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმათა კონკურენცია მიჩნეულია სწორედ ალტერნატიულ კონკურენციად, (ჩაჩავა, 2010, გვ. 36) რაც იმას ნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას ალტერნატიული მოთხოვნის საფუძველთაგან შერჩეულ უნდა იქნას უპირატესად გამოსაყენებელი სამართლის ნორმა, რაც გამორიცხავს სხვა მოთხოვნის საფუძვლის გამოყენების შესაძლებლობას.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნის და ალტერნატიულ მოთხოვნის საფუძველთაგან უპირატესად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის შერჩევის პრობლემა ერთი შეხედვით თითქოს თეორიის ნაწილია და მას რეალური პრაქტიკული დანიშნულება არ აქვს. აღნიშნული თითქოს ლოგიკურად არის, ვინაიდან თუ კონკურენციაში მყოფი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები ერთი და იგივე შედეგის მისაღწევად არის მიმართული, მაშინ რა არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტისას გამოყენებული იქნება მაგალითად, სახელშეკრულებო თუ დელიქტური ნორმები; მხარისთვის არსებითია დავის შედეგი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ან შესაძლოა მნიშვნელობის არმქონე ის იურიდიული მსჯელობები, რომლებიც ნორმათა კონკურენციასთან ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. (ძლიერიშვილი და სხვანი, 2014, გვ. 83) თუმცა, გარდა იმისა, რომ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძვლის სწორად განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად და სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, (ძლიერიშვილი და სხვანი, 2014, გვ. 84) სამართლის ნორმის სწორად შერჩევას შესაძლოა ჰქონდეს კიდევ უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა - იმის გამო, რომ კონკურენციაში მყოფი ნორმები შესაძლოა სხვაგვარად არეგულირებდნენ მხარეთა უფლება-მოვალეობებს (მაგალითად, ხანდაზმულობას, მტკიცების ტვირთის განაწილებას და ა.შ.), გამოსაყენებელი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების მიხედვით შესაძლოა იცვლებოდეს მხარის სამართლებრივი მდგომარეობაც დავის მიმდინარეობის და მისი შედეგების თვალსაზრისით. მაგალითად, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სახელშეკრულებო ნორმათა საფუძველზე შესაძლოა ხანდაზმული იყოს, ხოლო დელიქტურ ნორმათა მიხედვით კი არა. (ჩაჩავა, 2010, გვ. 157) შესაბამისად, სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას იმის განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში რომელი საფუძველი გამოიყენება, მნიშვნელოვანია დავის შედეგებით დაინტერესებული პირებისთვისაც, ვინაიდან მათ უნდა შეეძლოთ დავის სავარაუდო შედეგების განსაზღვრა (ძლიერიშვილი და სხვანი, 2014, გვ. 84) და შესაბამისად, ამ დავისთვის მატერიალური თუ საპროცესო თვალსაზრისით სათანადოდ მომზადება.



### 3. ხელშეკრულების და დელიქტის, როგორც მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია სამედიცინო დავებში

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის პრობლემა ნათლად არის წარმოჩენილი სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნების რეალიზებისას. კამათს არ იწვევს საკითხი იმის შესახებ, რომ სამედიცინო მომსახურების გაწევა ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად, როდესაც სამედიცინო მომსახურების გაწევა ხდება ქუჩაში გამვლელი ექიმის მიერ); შესაბამისად, სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული დავა შეიძლება დარეგულირდეს სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით; კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ამასთან, სამოქალაქო კოდექსი სამედიცინო დაწესებულებაში მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს დელიქტური ნორმით, კერძოდ 1007-ე მუხლით და განსაზღვრავს, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

აღნიშნულიდან ნათელი ხდება, რომ სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა სამედიცინო მომსახურების გამწევი მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პაციენტს უწევს/არ უწევს სამედიცინო მომსახურებას, რის შედეგადაც ზიანი ადგება ამ უკანასკნელის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, სახეზეა როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური მოთხოვნის საფუძველთა გამოყენების წინაპირობები.

სახელშეკრულებო და დელიქტურ ვალდებულებათა გადაჯაჭვულობა ხშირად ართულებს მოთხოვნის საფუძველის - მოთხოვნის უფლების დამდგენი სამართლებრივი ნორმის სწორად იდენტიფიცირებას. შესაძლოა დაზარალებულისთვის არც ჰქონდეს მნიშვნელობა რამდენად სწორად იქნება შერჩეული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი - მისთვის მთავარია მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ მოთხოვნის სწორი სამართლებრივი საფუძველის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად. (ძლიერიშვილი და სხვანი, 2014, გვ. 82-83)

მიუხედავად არაერთი ამ მიმართულების ნაშრომის არსებობისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პოზიცია, როგორ უნდა გადაწყდეს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის საკითხი სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში ან რა უნდა იყოს მათი გამიჯვნის კრიტერიუმები. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ მხარეები იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ერთი მხარე მეორეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევით მიაყენებს ზიანს, ამგვარი ზიანი განიხილება სახელშეკრულებო ზიანად და მასთან დაკავშირებული დავა უნდა დარეგულირდეს აღნიშნული ხელშეკრულებით ან კანონით, რომელიც ამ ურთიერთობას აწესრიგებს; თუ მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში - ზიანი განიხილება არასახელშეკრულებოდ, ხოლო მისი ანაზღაურება - დელიქტურ ვალდებულებად. (რედ. ჭანტურია, ლ., 2001, გვ. 378-379) მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობის პირობებში, მხარის მითითებამ დელიქტურ ნორმებზე, იმისათვის რომ მისთვის უფრო სასურველ შედეგს მიაღწიოს, არ უნდა გამოიწვიოს მოსამართლის დაბნევა და გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა გადაუხვიოს ხელშეკრულებას. (თოდუა, მ. და ვილემსი ჰ., 2006, გვ. 83-84) მაგალითისთვის განხილულია შემთხვევა, როდესაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გამორიცხულია დაუდევრობით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა. თუ განსახილველ შემთხვევაში დაუდევრობით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობას სასამართლო დელიქტის საფუძველზე დაადგენს, „ის ამით დაარღვევს სახელშეკრულებო შეთანხმებას და უგულვებელყოფს ხელშეკრულებათა თავისუფლების პრინციპს“. (თოდუა და ვილემსი , 2006, გვ. 95).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სარჩელთა კონკურენციად არ უნდა იქნეს განხილული თუ კანონმდებელი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ ზიანზე ადგენს დელიქტურ პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევებში გამოყენებული უნდა იქნას დელიქტური პასუხისმგებლობის წესები. სწორედ ასეთ შემთხვევად არის განხილული სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული დავები და განმარტებულია, რომ თუ ზიანი დგება ისეთი სამედიცინო მომსახურების შედეგად, რომელიც დაკავშირებული არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო თუ პირს ზიანი ადგება მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას, მაშინ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა დარეგულირდეს 1007-ე მუხლის შესაბამისად. (სუხიტაშვილი დ. და სუხიტაშვილი თ., 2011, გვ. 70-71)

ასევე გამოთქმულია მოსაზრება, სადაც თუმცა მოხმობილია ქართულ დოქტრინაში არსებული მიდგომა, რომ „სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლებებია, რომელთაც უპირატესობა აქვთ რელატიურ უფლებებთან მიმართებით. ამიტომ მათი დაცვა და ზიანის ანაზღაურება ხორციელდება დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებით, თუნდაც ურთიერთობის ხელშეკრულება ედოს საფუძველად“, მაგრამ უფრო სწორად არის მიჩნეული სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმათა კონკურენციის გადაწყვეტა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით (დუნდუა, 2009, გვ. 59).

აღნიშნულისგან განსხვავებულ პოზიციებსაც ვხვდებით, რომელიც ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებში პრაქტიკულად გამორიცხავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის პრობლემას და განმარტავს, რომ იმის მიხედვით თუ რაში ვლინდება მართლწინააღმდეგობა - ხელშეკრულებით დადგენილი თუ კანონით დადგენილი ნორმების დარღვევაში, სახეზე გვაქვს ან სახელშეკრულებო დელიქტი ან კანონისმიერი დელიქტი (ჩიტომვილი, 2008, გვ. 49-51); ამავე მოსაზრებით მიჩნეულია, რომ „ზიანი, რომელიც (მართლსაწინააღმდეგო ქცევის) სამართალდარღვევის შედეგად დადგა, იქნება ეს სახელშეკრულებო, თუ არასახელშეკრულებო, არის დელიქტის შედეგი და მისი ანაზღაურება წარმოადგენს დელიქტური ხასიათის ვალდებულებას“. (ჩიტომვილი, 2008, გვ. 50) სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლში ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძველებზე მითითება განპირობებულია იმით რომ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას სახელშეკრულებო და დელიქტური ზიანის ანაზღაურების პრინციპები შეიძლება იყოს საერთო, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელშეკრულების დარღვევის დროსაც სახეზეა დარღვევა, რომელიც „აგრეთვე წარმოადგენს თავისებურ დელიქტს“, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ირღვევა კანონით დაცული უფლებები. (პეპანაშვილი, 2016, გვ. 47)

რაც შეეხება უახლეს ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას „პაციენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეფუძნოს როგორც დელიქტურ, ისე სახელშეკრულებო ნორმებს ... თუ დავა სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ფარგლებში ექცევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას სახელშეკრულებო ნორმებს ენიჭება უპირატესობა. ხელშეკრულების ფარგლებში დავის გადაწყვეტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ევროპული ქვეყნების კოდიფიკაციებში შეინიშნება ტენდენცია, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის ნაცვლად პროფესიული, განსაკუთრებით კი სამედიცინო პასუხისმგებლობა წესრიგდება სახელშეკრულებო ნორმებით“. (გელაშვილი, 2024, გვ. 176-177)

#### 4. სასამართლოს როლი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შერჩევასა

დავის განხილვისას და გადაწყვეტისას სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შერჩევა. „მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედებისგან თავის შეკავების ვალდებულება“ (ჩაჩავა, 2010, გვ. 18).

სასამართლომ სწორედ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივ გარემოებათა შესწავლისა და შეფასების გზით უნდა გამოიკვლიოს, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ეფუძნება მოსარჩელის მოთხოვნა - სახელშეკრულებო შეთანხმებას თუ სხვა ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებს. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2021)

სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავებში, რომელთა მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებიან, უფლებამოსილი პირის სამართლებრივი ინტერესი - მიიღოს სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, როგორც ზემოთაც აღინიშნა შეიძლება დაკმაყოფილდეს სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით - ერთის მხრივ სახელშეკრულებო ვალდებულებათა მომწესრიგებელი ნორმების და მეორეს მხრივ დელიქტური ნორმების საფუძველზე, რაც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციად კვალიფიცირდება.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციისას გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძვლის სწორად შერჩევაც სწორედ მოსამართლის ფუნქციაა. (ჩაჩავა, 2010, გვ. 50) „მოთხოვნის საფუძვლების კონკურენციისას განმარტების მეთოდების კომპლექსური გამოყენებისა და სამოქალაქო კოდექსის ღირებულებათა სისტემის ერთიანი გააზრების გარეშე სამართლებრივად დასაბუთებული კვალიფიკაცია შეუძლებელია“ (ძლიერიშვილი და სხვანი, 2014, გვ. 83).

ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს სამედიცინო დავებში მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას რომელი მოთხოვნის საფუძველს უნდა მიენიჭოს უპირატესობა; თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თუ მოთხოვნის შესაძლო სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტური ნორმები, მოთხოვნათა შემოწმების თანმიმდევრობას აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად ვინაიდან ხელშეკრულება განიხილება, როგორც მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულება, ხოლო მართლწესრიგის უმთავრეს ამოცანად - სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების უზრუნველყოფა, სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების წარმოშობის საფუძველთაგან უპირატესად განიხილავს ხელშეკრულებას და შემდეგ ვალდებულების წარმოშობის სხვა - არასახელშეკრულებო საფუძვლებს, (თოდუა და ვილემსი, 2006, გვ. 15-16) მიჩნეულია, რომ თუ მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის საფუძველს უკავშირდება „ჯერ უნდა მოხდეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ხოლო შემდეგ კი კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველების განხილვა“ (ბიოლინგი და ლუტრინგჰაუსი, 2004-2009, გვ. 18).

შესაბამისად, მეთოდოლოგიურად გამართლებულად არ მიიჩნევა აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან პირველ რიგში შემოწმდეს დელიქტური ან პარალელურად შემოწმდეს სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნები და მათი საფუძველები, ვინაიდან ხელშეკრულება შეიძლება გამორიცხავდეს ან მინიმუმ მოდიფიკაციას უკეთებდეს დელიქტურ მოთხოვნებს - ხელშეკრულება შეიძლება გამორიცხავდეს მართლწინააღმდეგობას ან მოდიფიკაციას უკეთებდეს ბრალს. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მხარის პრივილეგირებას - პასუხს აგებდეს უფრო შერბილებულად, ვიდრე ხელშეკრულების არარსებობის პირობებში. თუ ხელშეკრულებით გამორიცხულია პასუხისმგებლობა მაგალითად, მსუბუქი ბრალისთვის, ეს პრივილეგირება გავრცელდება დელიქტურ სამართალზეც და დელიქტის ფარგლებში პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას მხარეს არ შეერაცხება მსუბუქი გაუფრთხილებლობა და შესაბამისად, არც დელიქტურ ნორმათა საფუძველზე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით თუ მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც პირველადი, ასევე მეორადი შესრულების მოთხოვნა, პირველ რიგში უნდა შემოწმდეს ეს მოთხოვნები და შემდეგ ისეთი მოთხოვნები, როგორც არის მაგალითად, დელიქტური ნორმებით დაფუძნებული მოთხოვნები. (რუსიაშვილი, 2022)

აღნიშნული საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ვინაიდან სწორედ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა სიმრავლისას შეარჩიოს უპირატესად გამოსაყენებელი სამართლის ნორმა. სწორედ ამ მიზნით ქვემოთ გამოკვლეულია რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელიც განსხვავებულად ასაბუთებს სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის შერჩევის საკითხს.



## 5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებათა ანალიზი

### 5.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის #ას-1169-2022 განჩინება

**ფაქტობრივი გარემოებები მოკლედ:**

მოსარჩელემ გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურების მიღების მიზნით მიმართა სტომატოლოგიური კლინიკის ექიმს - მოპასუხეს. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხის მიერ მკურნალობა ჩატარდა უხარისხოდ, რის გამოც ჰქონდა ძლიერი ტკივილი და იძულებული გახდა მიემართა სხვა ექიმებისთვის. აღმოჩნდა, რომ ტკივილის მიზეზი იყო ნაწილობრივ კბილების არხების დაბჯენა და ცუდად გაკეთებული პროთეზი. ხიდობრივი პროთეზის გაკეთების დროს აღმოჩნდა, რომ კბილების ცუდი დამუშავების გამო, პროთეზის ტარება არ შეიძლება და კბილები ამოსაღები იყო. ამ ინფორმაციამ მიაყენა მორალური ტრავმა. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაეკისროს ის მატერიალური ზიანი, რაც მიადგა არასწორი მკურნალობით და მორალური ზიანი, მიყენებული სულიერი ტრავმისთვის.

**სასამართლოს განმარტებები მოკლედ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან მიმართებით:**

საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი:

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოეშვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან. შეიძლება ექიმს იმ შემთხვევაშიც დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ მას რაიმე ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მკურნალობის დაწყებით ექიმისათვის და არასამედიცინო (დამხმარე) პერსონალისათვისაც წარმოიშობა ვალდებულება, კანონით დადგენილ ფარგლებში დაიცვან და შეინარჩუნონ პაციენტის ჯანმრთელობა. ექიმის მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია და შესაბამისად, მოთხოვნის დაფუძნება ორივე საფუძველზე ერთდროულად არის შესაძლებელი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2022).

სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლზე და განმარტა, რომ

წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მითითებული ნორმა წარმატებულადაა გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების სამართლებრივი კვალიფიკაციისას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2022).

საბოლოოდ სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაუკავშირა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევას და არასწორი მკურნალობის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განსაზღვრა სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413.2 მუხლები (ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.05.2019-ის #ბს-327-309 (2კ-07) და 11.05.2018-ის #ას-111-111-2018 გადაწყვეტილებები).

### **შემაჯამებელი ანალიზი:**

აღნიშნულ დავაში, მიუხედავად იმისა, რომ სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა სახელშეკრულებო ურთიერთობაა, სასამართლომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად განსაზღვრა დელიქტური ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1007-ე მუხლები და აღნიშნული დაასაბუთა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ დაირღვა დაზარალებულის აბსოლუტური სამოქალაქო უფლებები.

მსგავსი კატეგორიის დავებში სასამართლოს მიერ დელიქტური ნორმების გამოყენება გამორიცხავს სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავებში მოთხოვნის საფუძველთა მინიმუმ ალტერნატიული კონკურენციის შესაძლებლობას.

თუ გაზიარებულ იქნება სასამართლოს ზემოაღნიშნული მიდგომა რომ პირის აბსოლუტური უფლებებისთვის (ამ შემთხვევაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის) ზიანის მიყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებაა და ზიანის ანაზღაურებაც სწორედ ამ სამართლებრივი საფუძვლით უნდა მოხდეს, მაშინ გამოდის, რომ სამედიცინო მომსახურების შედეგად პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში, იმის გამო რომ ირღვევა აბსოლუტური უფლებები, დელიქტურ ნორმებს ენიჭება ე. წ. სპეციალური ნორმის სტატუსი და ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი თავად განსაზღვრავს სპეციალური ნორმის უპირატესობას, გამოდის, რომ სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავებში სახეზეა არა ალტერნატიული, არამედ ე.წ. გამომრიცხავი

კონკურენცია - როცა კონკურენციაში მყოფი სამართლის ნორმები გამორიცხავენ ერთმანეთს მათი იერარქიის თუ სპეციალურობის მიხედვით; შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა, იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია, საფუძველს არის მოკლებული.

თუკი სასამართლო ორივე მოთხოვნის საფუძველს თანაბრად მიიჩნევს, სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული თანაბარ მოთხოვნის საფუძველთაგან რა არგუმენტებით მოხდა დელიქტური ნორმისთვის უპირატესობის მინიჭება; ხოლო, თუ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისას, იმ არგუმენტის გამო რომ დაირღვა დაზარალებულის აბსოლუტური სამოქალაქო უფლებები, უალტერნატივოდ გამოყენებული უნდა იქნას დელიქტური ნორმები, მაშინ სამართლებრივ შედეგს მოკლებულია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოემვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან.

ასევე სამართლებრივ შედეგს არის მოკლებული სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მიუთითებს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაზე. სასამართლო აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით უთითებს შესაძლებლობაზე, რომ სახელშეკრულებო წესები გამოიყენება სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, თუმცა არ განიხილავს სახელშეკრულებო ნორმებით როგორ არის მხარეთა ურთიერთობა რეგულირებული; ეს მაშინ, როცა მეთოდოლოგიურად გამართლებულია აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან პირველ რიგში შემოწმდეს სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველები, ვინაიდან ხელშეკრულება შეიძლება გამორიცხავდეს ან მინიმუმ მოდიფიკაციას უკეთებდეს დელიქტურ მოთხოვნებს - გამორიცხავდეს მაგალითად, მართლწინააღმდეგობას, მოდიფიკაციას უკეთებდეს ბრალს, ითვალისწინებდეს მხარის პრივილეგირებას - პასუხს აგებდეს უფრო შერბილებულად, რაც დელიქტურ პასუხისმგებლობაზეც გავრცელდება და შესაბამისად, მსგავს დავებში სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველთა გამოუკვლევლად გადაწყვეტილების ერთმნიშვნელოვნად დელიქტურ ნორმებზე დაყრდნობა, მინიმუმ მის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს.

## **5.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 7 აპრილის #ას-1009-946-2010 განჩინება**

### **ფაქტობრივი გარემოებები მოკლედ:**

პაციენტმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი მოპასუხის მიერ გაეწია არაკვალიფიციური და არასწორი სამედიცინო მომსახურება, რის შედეგადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და მიაღწა ზიანი.

### **სასამართლოს განმარტებები მოკლედ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველბთან მიმართებით:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1007-ე მუხლებზე და განმარტა შემდეგი:

ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ დადგინდება ზიანის არსებობა, ზიანი მიყენებული იქნება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის იარსებებს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2011)

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით დაადასტურა, რომ პაციენტისთვის გაწეული მკურნალობა არ იყო არასწორი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახეზე არ არის მოპასუხის ბრალი, რაც თავის მხრივ გამორიცხავს მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2011)

უზენაესმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას

ბრალი არ მიუძღვის. სამკურნალო დაწესებულების ბრალეულობის ან მისი გამომრიცხავი გარემოებანი სრულყოფილად გამოკვლევის და შეფასების მიზნით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (ასევე იხ. უზენაესი სასამართლოს 25.12.2013-ის #ას-1163-1092-2012, 12.02.2016-ის #ას-866-816-2015 და 22.06.22-ის #ას-600-2021განჩინებები).

### **შემაჯამებელი ანალიზი:**

მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის დადებული იყო შესაბამისი ხელშეკრულება, სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის საკითხზე მსჯელობისას უზენაესმა სასამართლომ მიუთითა 1007-ე მუხლებზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც დავის გადაწყვეტისას სამართლებრივ საფუძველედ ასევე მითითებული ჰქონდა მხოლოდ დელიქტური ნორმები. არც სააპელაციო და არც უზენაესმა სასამართლომ არ იმსჯელა, რომ მოცემული კატეგორიის დავებში სახეზეა მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია და მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება, როგორც მოთხოვნის წარმოშობის შესაძლო სამართლებრივი საფუძველი საერთოდ არ განიხილა. სასამართლოებს ასევე არ უმსჯელიათ სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლთან დაკავშირებით, რომ წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, რაც როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, თავისთავად მოითხოვს პირველ რიგში გამოკვლეული იქნას სახელშეკრულებო ნორმები, ვინაიდან მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დელიქტურ პასუხისმგებლობაზეც.

### **5.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 13 აპრილის #ას-33-406-05 განჩინება**

#### **ფაქტობრივი გარემოებები მოკლედ:**

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების მიმართ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საკონსულტაციოდ მიმართა მოპასუხეს, სადაც დაესვა დიაგნოზი: მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსრის კოქსართოზი და მკურნალობის ტაქტიკად განესაზღვრა მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირება. ოპერაციის შემდგომ მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით პაციენტს კიდევ ორი ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა უშედეგოდ.

მოსარჩელის განმარტებით, მას არაერთი უშედეგო ოპერაციის დაუზიანდა ჯანმრთელობა და მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი.



## **სასამართლოს განმარტებები მოკლედ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან მიმართებით:**

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს მატერიალური და მორალური ზიანის გადახდა დაეკისრა ნაწილობრივ. სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სკ-ს 1007-ე, 413-ე მუხლები და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 103-ე მუხლი. საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება, თუმცა მიუთითა, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის გამო მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2005)

### **შემაჯამებელი ანალიზი:**

უზენაესი სასამართლო მოცემულ გადაწყვეტილებაში ავითარებს განსხვავებულ მიდგომას და განმარტავს შემდეგს:

მართალია, საოლქო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 1007-ე მუხლზე, რომელიც დელიქტურ ვალდებულებით ურთიერთობებს აწესრიგებს, მაგრამ ... მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგან მხარეებს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ... ურთიერთობა ... მოცემული ნორმის საფუძველზე ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2005)

სასამართლომ მოცემულ გადაწყვეტილებაში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნის კრიტერიუმად განსაზღვრა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა და აღნიშნულიდან გამომდინარე სამედიცინო მომსახურებით პაციენტის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლად განსაზღვრა სახელშეკრულებო ნორმა. მიუხედავად აღნიშნულისა, გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, როგორ არის მხარეთა შორის ურთიერთობა ხელშეკრულებით რეგულირებული - ხომ არ ახდენს სახელშეკრულებო ნორმები პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხების მოდიფიკაციას. უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს განმარტებას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით, დავის მიმდინარეობის ან შედეგის თვალსაზრისით არაფერი შეუცვლია.

აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან ერთად საინტერესოა უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებისთვის მკურნალობის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლად ერთდროულად არის მითითებული სამოქალაქო კოდექსის 1007-ე და 394-ე მუხლები, თუმცა გადაწყვეტილებაში არ არის შესაბამისი დასაბუთება, თუ რატომ მოხდა მოთხოვნის სახელშეკრულებო და

დელიქტური მოთხოვნის საფუძველთა კუმულაცია (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2021)

უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდის სასამართლო გადაწყვეტილებებში მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებისთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ პაციენტის სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად, მიუხედავად იმისა რომ მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1007-ე მუხლები, მოთხოვნის შესაძლო ალტერნატიულ საფუძველზე ყოველგვარი მითითების გარეშე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.06.2024-ის #ას-45-2024, 22.06.2022 -ის #ას-600-2021 განჩინებები) შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა საბოლოოდ იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ აღნიშნულ დავათა მოწესრიგება სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1007-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს დადგენილ სასამართლო პრაქტიკას. სასამართლო პრაქტიკის განვითარების ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული კატეგორიის დავებში სახელშეკრულებო ნორმები, როგორც მოთხოვნის ალტერნატიული საფუძველი პრაქტიკულად გამორიცხულია. ამასთან, კვლავ უგულვებელყოფილია სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის მოთხოვნები - სასამართლო არ იკვლევს თუ როგორ არის მხარეთა ურთიერთობა რეგულირებული სახელშეკრულებო ნორმებით, მაშინ როცა სახელშეკრულებო ნორმებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დელიქტურ პასუხისმგებლობაზეც; შესაბამისად, ვინაიდან მოთხოვნის საფუძველთა სწორად გამოკვლევას, მათ შორის საფუძველთა გამოკვლევის თანმიმდევრობის თვალსაზრისითაც, შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მხარეთა სამართლებრივ მდგომარეობაზე, სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გაუთვალისწინებლად მიღებული გადაწყვეტილებები სწორედ მათ დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს.

## 6. დასკვნა

განხილული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან დგინდება, რომ სამედიცინო დავების უმრავლესობაში, სადაც მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებას ეკისრება მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პაციენტის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სამართლებრივ საფუძველად, მიუხედავად მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობისა, განსაზღვრულია დელიქტური ნორმა.

აღნიშნულ დავებში, სასამართლოს მიერ, რომელიც თავად უთითებს, რომ სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამომდინარეობს, როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტური ნორმებიდან, არათუ პირველ რიგში, არამედ საერთოდ არ არის გამოკვლეული და შემოწმებული სამედიცინო მომსახურების

ხელშეკრულება, როგორც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც იმთავითვე მიუთითებს გადაწყვეტილებათა არასათანადოდ დასაბუთებულობაზე.

ამასთან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმათა, როგორც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციისას, ისინი ერთმანეთთან ალტერნატიულ კონკურენციაში იმყოფებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა ორივე სამართლებრივი საფუძველის წინაპირობებს აკმაყოფილებს და რომელიმე მათგანით რეგულირება გამორიცხავს სხვა მოთხოვნის საფუძველის გამოყენების შესაძლებლობას. კონკრეტული დავის ფაქტობრივი მოცემულობის საფუძველზე გამოსაყენებელი ნორმის შერჩევის კომპეტენცია აქვს სასამართლოს; თუმცა, თუ გაზიარებულ იქნება სასამართლოს ზემოაღნიშნული მიდგომა, რომ პირის აბსოლუტური უფლებებისთვის (ამ შემთხვევაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის) ზიანის მიყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებაა (მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა პარალელურად სახელშეკრულებო სამართლებრივ საფუძველთა წინაპირობებსაც შეიძლება აკმაყოფილებდეს) და ზიანის ანაზღაურებაც სწორედ ამ სამართლებრივი საფუძველით უნდა მოხდეს, მაშინ გამოდის, რომ სამედიცინო მომსახურების შედეგად პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში, იმის გამო რომ ირღვევა აბსოლუტური უფლებები, დელიქტურ ნორმებს ენიჭება ე. წ. სპეციალური ნორმის სტატუსი და ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი თავად განსაზღვრავს სპეციალური ნორმის უპირატესობას, გამოდის, რომ სამედიცინო მომსახურებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავებში სახეზეა არა ალტერნატიული, არამედ ე.წ. გამომრიცხავი კონკურენცია - როცა კონკურენციაში მყოფი სამართლის ნორმები გამორიცხავენ ერთმანეთს მათი იერარქიის თუ სპეციალურობის მიხედვით; შესაბამისად სასამართლოს მსჯელობა, იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია საფუძველს არის მოკლებული. იმ შემთხვევებში კი, თუ უფლებამოსილი პირის სამართლებრივი ინტერესი - მიიღოს სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიიღწევა დელიქტურ და სახელშეკრულებო ნორმათა გაერთიანების გზით, მაშინ რამდენიმე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის გამოყენების შესაძლებლობა მიჩნეულ უნდა იქნეს ე.წ. კუმულაციურ კონკურენციად - როცა მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია რამდენიმე მოთხოვნის საფუძველთა გაერთიანებით ან ურთიერთკავშირით.

გარდა ამისა, სახელშეკრულებო ნორმები შეიძლება მაგალითად, გამორიცხავდეს მართლწინააღმდეგობას ან მოდიფიკაციას უკეთებდეს ბრალს - ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა პასუხი აგოს უფრო შერბილებულად, ვიდრე ხელშეკრულების არარსებობის პირობებში ან გამორიცხავდეს პასუხისმგებლობას მაგალითად, მსუბუქი ბრალისთვის. და ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის დანაწესის მიხედვით წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა

არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. გამოდის, რომ ხელშეკრულებით დადგენილი წესები, მათ შორის ზემოაღნიშნული პრივილეგირება გავრცელდება დელიქტურ სამართალზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შემოწმების თანმიმდევრულობის დაუცველობამ შეიძლება არასწორი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე, არსებული ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით, სამედიცინო მომსახურებით პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავებში, რომლებშიც სახეზეა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს როგორც დელიქტური ასევე სახელშეკრულებო ნორმები, სასამართლოს გადაწყვეტილებათა სათანადოდ დასაბუთებულობის მიზნებისთვის, ასევე ერთგვაროვანი და სტაბილური პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის რეკომენდირებულია, დაცული იყოს მოთხოვნათა შემოწმების თანმიმდევრობა (იმ შემთხვევაშიც კი, როცა სასამართლო უპირატესად გამოსაყენებელ სამართლებრივ საფუძველად ადგენს დელიქტურ ნორმას), რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის საფუძველს უკავშირდება ჯერ უნდა შემოწმდეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ხოლო შემდეგ კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველების შემოწმება. მართლმსაჯულების განხორციელებისას აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, დავის შედეგებით დაინტერესებულ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა სწორად განსაზღვრონ დავის შესაძლო პერსპექტივები და სათანადოდ მოემზადონ საქმის განხილვისა და მტკიცების ტვირთის დასაძლევად.

აღნიშნულის გათვალისწინებით სამედიცინო დავებში თუ სახეზეა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა სიმრავლე და მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მეთოდოლოგიურად გამართლებულია პირველ რიგში შემოწმდეს სახელშეკრულებო მოთხოვნები და მათი საფუძველები და შემდეგ ისეთი მოთხოვნები, როგორც არის მაგალითად, დელიქტური ნორმებით დაფუძნებული მოთხოვნები.

## ბიბლიოგრაფია

### სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.06.2021-ის #ას-253-2021 განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.11.2022-ის #ას-1169-2022 განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.05.2019-ის #ბს-327-309 (2კ-07) გადაწყვეტილება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.05.2018-ის #ას-111-111-2018 გადაწყვეტილება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 7.04.2011-ის #ას-1009-946-2010 განჩინება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.12.2013-ის #ას-1163-1092-2012 განჩინება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.02.2016-ის #ას-866-816-2015 განჩინება;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2022-ის #ას-600-2021 განჩინება;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.04.2005-ის #ას-33-406-05 განჩინება;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2022-ის #ას-600-2021 განჩინება;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.06.2024-ის #ას-45-2024 განჩინება;
12. საქართველოს კანონო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 24.07.1997;

### სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ახვლედიანი, ზ. (1999). ვალდებულებითი სამართალი. თბილისი: გამომცემლობა სამართალი;
2. ბიოლინგი, ჰ. & ლუტრინგჰაუსი, პ. (2004-2009). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. ბრემენი-თბილისი: გამომცემლობა სიესტა;
3. გელაშვილი, ი. (2024). პაციენტის უფლებები. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა;
4. დუნდუა, მ. (2009). დელიქტური პასუხისმგებლობისა და დელიქტური პასუხისმგებლობის თანაფარდობა. სამართლის ჟურნალი. გვ. 52-60.
5. თოდუა მ. & ვილემსი ჰ. (2006). ვალდებულებითი სამართალი. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
6. კვანტალიანი, ნ. (2014). პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა იურისტების სამყარო;
7. პეპანაშვილი, ნ. (2016). სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სადისერტაციო ნაშრომი;



8. რუსიაშვილი, გ. (2022, ივლისი 17). კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები 1 - მოთხოვნათა თანმიმდევრობა; [<https://www.youtube.com/watch?v=4Uwvzk83meQ>].
9. სუხიტაშვილი დ. & სუხიტაშვილი თ. (2011). სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია. მართლმსაჯულება და კანონი, გვ. 62-74;
10. ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
11. ჩიტოშვილი, თ. (2008). დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები. ჟურნალი მართლმსაჯულება;
12. ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ. & ჯანაშია, ლ. (2014). სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი;
13. ჭანტურია, ლ. (რედაქტორი). (2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე. თბილისი: გამომცემლობა სამართალი;
14. ხარანაული, ი. (2023). სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია სამედიცინო დავებში. ბათუმი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის I საერთაშორისო კონფერენციის "მდგრადი განვითარების თანამედროვე ასპექტები" მოხსენებათა აბსტრაქტები;